ქეთევან ელაშვილი

პუბლიცისტიკის მხატვრული დიაპაზონი

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, ერი, რელიგია, საზოგადოება, მწერალი

პუბლიცისტკის კანონიკა, ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური დისკურსის ფორმატში, ჩვენი უახლესი ისტორიის (XX საუკუნის 80-90-იანი წლების) ჯეროვან გაცნობიერებას წარმოადგენს. აქვე ისიცაა საგულისხმო, რომ, ერის სტაგნაციის პერიოდში, სწორედ პუბლიცისტის წყალობით ხდება ხოლმე თავისუფალი ნების გაცხადება თუ ერის ზნეობრივი ფენომენის გამოკვეთა, რაც თავის მხრივ – ილიასეული კონცეფციების ერთგვარი გაგრძელებაცაა.

როდესაც მწერალი პუბლიცისტის მისიას იტვირთებს, ის თავადვე უნდა ფლობდეს სულის უკიდეგანო თავისუფლებას – გამოხატულს ფრიად მიუკერძოებული ცხოვრების წესით. სწორედ ამგვარი იყო ჯემალ ქარჩხაძე, რომლისთვისაც თავისუფლების უზენაესობა სამშობლოსათვის შეწირულობის ტოლფასი იყო. ეგებ ამიტომაც, 9 აპრილი, როგორც ერის მოჭირნახულე მწერალმა, ერთგვარ ზნეობრივ დილემად მიიჩნია.

„ცხრა აპრილი ჩვენი ისტორიის მწარე, მაგრამ მტკიცე წყალგამყოფად აღიმართა, რადგან საქართველოს საკუთარი შვილების წმინდა სისხლში განბანა დასჭირდა, თავის უძლეველობაში რომ დარწმუნებულიყო. არ არსებობს ნუგეში, როცა წინ დაჩეხილი შვილის ცხედარი გისვენია, მაგრამ გამოცდილებამ იცის, რომ დრო მაინც შეუკრავს პირს ჭრილობას, ვონება გაარღვევს უკუნ ღამეს, ტკივილი აღარ იქნება ერთადერთი, რის გარეთაც არაფერი არ არსებობს, და ნუგეში მოვა. ნუგეში მოვა, ვინაიდან, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის სასიკვდილოდ იმეტებენ, მას უკვდავებისთვის ამზადებენ, ხოლო თავისუფლების მსხვერპლს თავისუფლების ღმერთი იფარავს – ღმერთთა შორის უპირველესი“.[1]

ჯემალ ქარჩხაძე ასევე თვლიდა, რომ მწერლის ეროვნულ სულისკვეთებას თავისი „საზიდი ჯვარი“ აქვს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ქართველ მწერალთა უმეტესობას არ გააჩნდა მსგავსი პათოსი, რომ სამომავლოდ ერი ეხსნათ დაქუცმაცებისაგან:

„ამ ცოტა ხნის წინათ მწერლობამ ერთი გაბრძოლება გაიბრძოლა კიდეც. სამწუხაროდ, გამოუცდელობის ბრალი იყო, თუ დამოუკიდებლობის გრძნობა არ ეყო, თავისუფალი არჩევნების იქით საქმე არ წასულა. ჩვენს პირობებში ესეც მიღწევაა და, რამდენადაც ვიცი, საქართველოში ამის პირველი პრეცენდენტი სწორედ მწერლობამ შექმნა... თუმცა პირადად მე მჯერა, რომ მწერლობას ეყოფა ღონე, თავისი ჯვარი თავადვე ზიდოს. მთავარია, არ დაიგვიანოს; ფასეულობათა გადაფასება ისეთი სისწრაფით ხდება, ახლა უაღრესად სახიფათოა ქვეყნის მიტოვება

1 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, 2005, გვ. 47.

იმ მედროვეთა – გამობრძმედილთა თუ ახლად მოვდენილთა – ანაბარა, რომელთაც ერისკაცების ნიღბები აქვთ აფარებული, კურსი კი ქარის მიმართულებით უჭირავთ...“.[2]

ასევე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მწერალი სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი ზნეობრივი ხერხემალია, რომელმაც სწორედ წუთისოფლის უთავბოლობაზე უნდა შექმნას არაერთი ლიტერატურული შედევრი, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძე ამას ჩადის პუბლიცისტურ ფორმატშიც, რადგან პუბლიცისტური ნარატივი გაცილებით მკვეთრი რიტორიკული აქცენტებით გამოირჩევა:

„წუთისოფელი მართლაც ძალზე არეულ-დარეულია, მაგრამ „მარტო ცოდვის დადება“ მაინც ფრაზა უფროა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი რწმენა არ არის. ჩემი ფიქრით, ადამიანს ამქვეყნად ისევე არ შეუძლია სიკეთე არ მოიმოქმედოს, როგორც არ შეუძლია ცოდვა არ დაიდოს. სხვა საქმეა, თუ დღეს რაში უფრო ვართ გაწაფული. რაც შეეხება სულის გადარჩენას, ბოლოს და ბოლოს არც სიხარბეა ისე ძნელი დასამარცხებელი, არც პატივმოყვარეობა, არც ამპარტავნობა თუ სხვა ზადი და ბიწი, რომ ადამიანმა საკუთარი სულის გადარჩენა ვერ შეძლოს... ჩვენ ყველანი ერთი ვეებერთელა წიგნის ფურცლები ვართ და არ ღირს მეტისმეტი თავის მოწონება იმით, რომ თქვენ ქათქათა და ულაქო ხართ, ვიდრე სხვა ფურცელი დათხვრილი და დაჭმუჭნულია... მე იმედი მაქვს, რომ გადარჩენის გზაა, მაგრამ გადარჩენისათვის აუცილებელია – ადამიანი ისევე ზრუნავდეს სხვის სულზე, როგორც საკუთარ სულზე ზრუნავს, რადგან საკუთარი და სხვისი არსებითად ერთი და ივივეა“.[3]

ეთნოზნეობა ხშირად პუბლიცისტურ წერილებში უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე მხატვრულ აზროვნებაში და თქვენ წარმოიდგინეთ – ამ გზით გაცილებით სწრაფად ხდება საზოგადოების ერთგვარი განკურნება. მოხდა ისე, რომ **XX** საუკუნის მიწურულს,[4] ჯემალ ქარჩხაძის მიერ წამოჭრილი პრობლემატიკა თითქოსდა არ გამქრალა და დღესაც იმავ განსაცდელში ვიხარშებით.

„აწმყო პერსპექტიული წარსულია და წარსული – ფიქსირებული აწმყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარსული და აწმყო ერთმანეთში გადადიან, ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს განმარტავენ, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ანათებენ კიდეც... მწერლისთვის არსებობს დრო, როგორც ერთიანი განზომილება, და არსებობს ადამიანი, რომელიც მთელ ამ განზომილებას მოიცავს და მთელ ამ განზომილებაში მოქმედებს... უბრალოდ, მწერალი მიმართავს იმ ეპოქას, რომელიც, მისი აზრით, დასამუშავებელი მხატვრული პრობლემისათვის მასალასაც მეტს იძლევა და ფონსაც უკეთესს ქმნის“.[5]

აქ ერთი რამ უთუოდ არის გასათვალისწინებელი, რომ არაშესაატყვისი და ფრიად ბუნდოვანი პოლიტიკური პერიპეტიები ჩიხში აქცევდა საქართველოს, რადგან, იაფფასიანი სპექტაკლები იდგმებოდა. სწორედ ამის გამოა, რომ ჯემალ ქარ-

2 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, 2005, გვ. 51.

3 იქვე, გვ. 54.

4 იგულისხმება 1988-1998 წლების პუბლიცისტიკა. 1998 წელს ჯემალ ქარჩხაძე გარდაიცვალა.

5 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 174.

ჩხაძე ჩვენს ქვეყანას არცთუ სასიკეთო ჭრილში განიხილავს და ასკვნის:

„დღევნდელი საქართველო[6] ფარისეველთა სამეფოა, სადაც „მორალი“ ამორფული, ცვალებადი და გამოყენებითი ცნებაა და ამიტომ საგნებს, მოვლენებსა და ქცევებს, დროებითი მეტსახელები ჰქვია და არა ნამდვილი სახელები, ამგვარ გარემოში გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ პოლიტიკურ დამარცხებასა და გამარჯვებას ხშირად, გადაჭარბებული, ლამის ტრაგედიამდე (თუ გროტესკამდე) მისული მნიშვნელობა ენიჭება“.[7]

ამიტომაც არის, რომ ერის სულიერი სიფხიზლის სადარაჯოზე, უპირველეს ყოვლისა, მწერალი დგება ხოლმე. სწორედ ამგვარი სულისკვეთების იყო ჯემალ ქარჩხაძე (ყოველგვარი ქარიზმატული მოწოდებების გარეშე – ქ.ე.), რომელიც ცდილობდა, როგორმე სიბნელეში მყოფი თანამოძმეები, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის მადლით, სიბნელიდან სინათლეში გამოეყვანა, რისთვისაც ის ჩვენს გენეტიკურ რელიგიურ ცნობიერებას ეჭიდებოდა. რადგან ოდითგანვე კარგად უწყოდა, რომ „ქართველობამ ქრისტიანობა ისე შეისისხლორცა, ისე გაიმშობლიურა და „გაიეროვნულა“, არა მგონია, დღეს წარმართული სული ჩვენში ასე თუ ისე სერიოზული დოზით არსებობდეს“.[8]

მაგრამ, მიუხედავდ „ქრისტიანული მეხსიერებისა“, ქართველი ერი მაინც ისტორიული წარსულით ცხოვრობდა, წარსული დიდებასა თუ რჩეული ერის ფენომენის მითოლოგიზირებას ისე ოსტატურად ახდენდა, რომ სრულიად იბინდებოდა აწმყო, რომ აღარაფერი ვთქვათ რა – ქვეყნის მომავალზე.

„ქვეყნის ისტორია აწმყოთა რგოლებისაგან აკინძული ერთიანი ჯაჭვია. დღეს ამ ჯაჭვის თავში ჩვენა ვართ და ჯაჭვის უწყვეტობაც ჩვენზეა დამოკიდებული. უკნიდან სასოებით შემოგვცქერის წარსული. წინიდან ბუნდოვანი მომავლის შეშფოთებული თვალი მოგვჩერებია. ჩვენ კი – დღევანდელი საქართველოს სული და სისხლი – განგებამ ბეწვის ხიდზე შეგვაყენა და ერის ბედის გადაწყვეტა გვიბრძანა“.[9]

ეგებ იმიტომ, რომ ტოტალიტარულ ლაბირინთში აღმოჩენილი ქვეყანა, თავისდაუნებურად „სტოკჰოლმის სინდრომით“ ავადდება, რაც მოძალადის მიმართ მეტად ორაზროვან მიჯაჭვულობაში გამოიხატება. სწორედ ამის გამო კარგავს მსხვერპლად ქცეული ერი საყრდენს, თუმცა არ ყრის ფარხმალს, ცდილობს ძლიერი ნებელობის შლეიფით შეიმოსის, რაშიც „ინტელექტუალურს ბურუსში“[10] გახვევა ეხმარება.

„...რაკი შვიდი ათეული წელი საკმაოდ დიდი დროა, ეს მატერიალისტურ-მისტიური მექანიზმი გამოღვიძებულ სულს დღეს თვალზე და გონებაზე ბინდად აქვს გადაკრული.

ეს ინტელექტუალური ბინდია.

6 ჩვენდა სამწუხაროდ ამ სახელდებას ვერც **XXI** საუკუნეში გასცდა საქართველო. – ქ.ე

7 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 176.

8 იქვე, გვ. 60.

9 იქვე, გვ. 64.

10 „ინტელექტუალურ ბურუსზე“ ვრცლად იხილეთ ქ. ელაშვილის სტატია – „პუბლიცისტური დისკურსი „ინტელექტუალურ ბურუსში“. **XIII** საერთაშორისო სიმპოზიუმი. 2019.

უნდა განვმარტო, რომ აქ ინტელექტში ვგულისხმობ ერის ეონებრივი სინათლის სათავეს, გულისგულს, ბირთვს, ანუ ცნებას მისი უღრმესი, უსაწყისესი მნიშვნელობით, დიფერენციაციამდელი, გნებავთ, მატერიალიზმამდელი მნიშვნელობით, როცა იგი ჯერ კიდევ ღვთაებრივი ჭეშმარიტების ფესვზე დგას და უმაღლეს ადამიანურ იდეებსა და იდეალებს საკუთარ თავში შეიცავს.

რაკი ცხოვრების სცენიდან, სადაც ეროვნული სული უკვე აღარ ტრიალებდა, ინტელექტიც გაძევებულ იქნა...[11]

ამგვარ ვითარებაში დიქტატურის ყველაზე მძლავრი ბერკეტი – „იდეის დიქტატურა" მკვიდრდება, რომელსაც თავისი პროპაგანდისტული პათოსი უმაღლეს ნიშნულამდე აყავს და საზოგადოებაც, თავისდა უნებურად, „მის ენაზე" იწყებს არათუ მეტყველებას, არამედ აზროვნებასაც კი:

„დიქტატურა, უწინარეს ყოვლისა, იდეის დიქტატურაა. პიროვნება მხოლოდ რეალიზაციის საშუალებაა. იდეა ქმნის დიქტატორს და არა დიქტატორი იდეას. იდეა კი მაშინ იქცევა დიქტატურად, როცა თავს აბსოლუტურ მიზნად აცხადებს და ამ მიზნის მიღწევის გზაზე ყველა სხვა იდეას შეიწოვს და ყველა სხვა იდეის მაგივრობას თვითონ კისრულობს. საქართველოში დღეს ამ მოდელისაკენ მიდრეკილება შეინიშნება. იდეა რომ სხვაა, ეს პრინციპულად არაფერს ცვლის. და თუ ეროვნულმა იდეამ მართლა და საბოლოოს შეიწოვა ზოგადადამიანური იდეები, იგი დიქტატორად იქცევა... ყოვლად აუცილებელია დღესვე დაიწყოს ინტელექტუალური გამოღვიძების სტადია და ჩვენი ეროვნული დუღილი მაქსიმალურად გაიჟღინთოს ინტელექტუალური სულით. სადაც ინტელექტს სძინავს, ბოროტება ყვავის და უზნეობაც, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა ინტელექტის მიერ მიტოვებული ზნეობა... ეს ინტელექტის ამოცანაა. რაც დღეს ბნელშია და არ ჩანს, ინტელექტის შუქზე განათდება და გამოჩნდება. ამ შუქმა უკვე დაიგვიანა. მეტი დაგვიანება აღარ შეიძლება".[12]

სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯემალ ქარჩხაძემ მხატვრულ აზროვნებაში არაერთხელ წამოჭრა მძაფრი სამოქალაქო თემატიკა, მაგრამ ლიტერატურულ ველში ერთგვარად ჩაიკარგა ის უმთავრესი აქცენტები (სიტყვის მხატვრული არსის გამო...), რომლებიც გაცილებით სიმკვეთრეს მის რჩეულ წერილებში იძენს, რომელთა შორის ყველაზე ფუნდამენტური მაინც მისი „მონოლოგი დიალოგიდანაა". რადგან ის სწორედ საეტაპოა **XX** საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის ისტორიისათვის, რასაც ზედმიწევნით ხსნის თავად ავტორი: „ყოველი მწერალი, მიუხდავად იმისა, მიმართავს თუ არა როდესმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიცაა".[13]

აქვე ისიცაა ნიშანდობლივი, რომ ამგვარი ძნელბედობის ჟამს – ერის ბეწვის ხიდზე გავლისას, მწერალი იღებს უმთავრეს გადაწყვეტილებას ირგებს რა – ღირსეული პუბლიცისტისა თუ მოძღვრის როლს (რისი ქრესტომათიული მაგალითიც ილია ჭავჭავაძეა) და ამიტომაც მოგვიწოდებს ამგვარად: „როცა ერის ცხოვრე-

11 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 76.
12 იქვე, გვ. 81-83.
13 იქვე, გვ. 9.

ბაში კრიტიკული სიტუაცია დგება, მაშინ არავისა აქვს უფლება ცხრაკლიტულში იჯდეს და ყურები ბამბით ჰქონდეს გამოტენილი“.[14]

ასე ალბათ, იმიტომ მოიქცა, რომ „პიროვნება-მწერალმა“ – ჯემალ ქარჩხაძემ, წინმსწრებად – 1988 წელსვე შეიგრძნო, ეროვნული პათოსით შეპყრობილი, ერის ზნეობრივი პროფანაცია. და რაც მთავარია, მასვე ჰქონდა იმ საბედისწერო მოვლენათა წარმოსახვითი ხილვა, ბუნებრივია ყოველგვარი თარიღის დაკონკრეტების გარეშე, რაც მოგვიანებით 9 აპრილს დაგვატყდა თავს.

სწორედ ეს ტენდენციები აისახა ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტურ წერილში – „მონოლოგი დიალოგიდან“ (ჟურნალი „მნათობი“, 1988 წ., №8) და მისთვის „ყველაზე ტრაგიკული კი ის იყო, რომ ქართველმა კაცმა სიტყვის ზნის შეცნობის უნარიც დაკარგა და მხოლოდ ყალბი, ფუჭი, „თვითმიზნურად კაზმული სიტყვებით“ იწყო არსებობა. ასე უკეთესად მოერგო ტოტალიტარულ წნეხს – ამგვარ სიტყვებში სრულიად ჩაიფერფლა „სულის მოძრაობა“ და „მაღალი ინტელიგენტური სულიც“ დაიშრიტა ჩვენს საზოგადოებაში“.[15]

აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ პოეტურ-ფილოსოფიური აზროვნების ერი ვართ – ამ ტალღაზე ვართ აწყობილნი, რადგან საკუთარი ანბანის შემქმნელნი ვართ და ქართული მწერლობის სახით უდიდეს საგანძურს ვფლობთ. შესაბამისად, სიტყვებსაც სხვაგვარად ვართ შეთამაშებულნი და ამიტომაც სრულიად თავისუფლად შეგვიძლია, ძნელბედობის ჟამს, „მართალ სიტყვას“ ჩავეჭიდოთ მთელი ძალით. ასე იყო ოდითგანვე („ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეების მანძილზე იყო ჩვენი სულიერი გზამკვლევი... ქ.ე.) და ასევე უნდა გრძელდებოდეს დღემდეც.

ქართული სიტყვის ეს ფენომენი, რაღა თქმა უნდა, ჯემალ ქარჩხაძემაც შეისისხლხორცა. უფრო მეტიც, – მან გადაწყვიტა სამწერლობო ფორმატში შეეცნო სიტყვათმეტყველება თუ სიტყვათქმნადობის მარადიული წრებრუნვა – მხატვრულ აზროვნებაში რომ პოულობს მარტოოდენ წამიერ ნავსაყუდელს. უთუოდ, აქ ერთი რამის უგულველყოფაც არ შეიძლება და აუცილოებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველას ვერ ხელეწიფება სიტყვის მაგიის წვდომა. თუმცა მიუხედავად ამისა, მაშინაც და დღესაც, მრავალნი იჩემებენ სიტყვის დიდოსტატობას და ამიტომაც ფრიად ამაღლებული ინტონაციით აფრქვევენ პათეტიკურ მოწოდებებს და თან არც იმას ივიწყებენ, რომ საქართველოს ისტორიის ყველაზე ამაღლებული თუ მიწაზე დანარცხების უტყუარი ილუსტრაციები სწორედ ლიტერატურულმა წყაროებმა შემოგვინახეს. ალბათ იმიტომ რომ, ჩვენში მწერალი მხოლოდ „სიტყვის ჯადოქარი“ როდი იყო, არამედ ის ერის სულიერ ლიდერადაც გვევლინებოდა, რომელსაც ხელისუფალზე უკეთ შეეძლო თავისი სიტყვით დაცემული ერის სიმართლის გზაზე დაყენება. ამ საუკუნეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობდა ჯემალ ქარჩხაძე და სხვა მწერლებისგანაც ითხოვდა საკუთარ ერზე ზნეობრივ მეურვეობას.

14 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 13.

15 ელაშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 370.

„...არსად სიტყვას ისეთი სიყვარულით არ ელოლიავებიან, ისეთი რუდუნებით არ ძერწავენ, ისე ხარბად არ აგროვებენ და ისე უანგარიშოდ არ ხარჯავენ, როგორც ჩვენში. ჩვენში ყოველი კაცი სიტყვის შემოქმედია... და ქართული ხასიათის ფესვებიც, ალბათ, უმთავრესად სიტყვასთან ჩვენს დამოკიდებულებაშია საძიებელი".[16]

აქვე ერთი მნიშვნელოვანი შტრიხიცაა გასათვალისწინებელი, სამოცდაათწლიანი ტოტალიტარული რეჟიმის მძიმე რეციდივი, გამოხატული ეროვნული ენერგიის შინაგანი ცხოველმყოფელობის ერთგვარი ჩაქრობით, რომლის კვლავ აღდგენის მისია მწერალს უნდა ეტვირთა". სწორედ ამ ვითარებაში ესაჭიროებოდა სამოქალაქო საზოგადოებას ინტელიგენციის არსებობა, რომელიც ცნობიერ დონეზე აამაღლებდა მათ თვალსაწიერს. ჩვენ საზოგადოებაში არსებული ეს ვაკუუმი არ გამოაპრვია ჯემალ ქარჩხაძეს და საგანგებოდ განიხილავს თვითმარქვია ინტელიგენტთა კასტას, რამაც წარმოშვა „ინტელექტუალური ბურუსის" ცნებაც.

„...ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არა გვყავს. მე ინტელიგენტში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელიგენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლების მოწმობაა... ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დემოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავდაბალი არ იყოს...".[17] რადგან პუბლიცისტის მსოფლხედვით – ზნეღირსებას უპირველესად სწორედ ერის მოაზროვნე ნაწილი უნდა ფლობდეს (მწერალი, ინტელიგენტი და ყველა, ის ერის მოჭირნახულე, ვისაც ხელეწიფება იზრუნოს ქვეყნის ბედ-იღბალზე).

„ინტელიგენტის" არსის ფილოსოფიული არქეტიპები მ. ბერიაშვილის წერილშია განხილული („ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით"),[18] სადაც ის შეეცადა ქარჩხაძისეული რიტორიკის პასუხგაუცემელი სიცარიელე შეევსო...

შესატყვისად ჯემალ ქარჩხაძე, როგორც პიროვნება „იყო იმის ზნეობრივი მაგალითი – როგორ უნდა ეცხოვრა დიდ მწერალს საკუთარ „სინდისთან გარიგებულ" ადამიანთა მიერ შექმნილ კონფორმისტულ გარემოში".[19] აქვე უთუოდ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მწერლის „შემოქმედებითი მონოლოგი" – საკუთარი ცხოვრების ხელახალი „გადაკითხვაა", ოღონდ მკვეთრი ეროვნული აქცენტებით.

ამასთანავე მას, როგორც შემოქმედს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის დაძაბუნებამ სამოქალაქო ცნობიერებაც დააკნინა, რადგან „სტოკჰოლმის სინდრომით ხანგრძლივმა ცხოვრებამ, ზნეობრივი ფასეულობები სრულიად თავდაყირა დააყენა და მხოლოდ არარეალური ისტორიებით დაბინდა ეროვნული ცნობიერება. ჩვენდა სამწუხაროდ, ასე მარტივად მოგვეჩვენა ცხოვრება და „ერისკაცობაც" „ქართლის ცხოვრების" სიძვლეშეპარულ ფურცლებში საგულდაგულოდ გავხიზნეთ.

16 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 9.
17 იქვე, გვ. 35.
18 ბერიაშვილი მ., ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2018, გვ. 36-39.
19 ჯამბურია კ., ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2018, გვ. 23.

ამ ვითარებაში ილიას მასშტაბურ სახელს ამოეფარა ეროვნული საზოგადოება და „მამხილებელი გონების“ ხმა ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვით ჩაახშო მხოლოდ. ამიტომაც იყო, რომ ეროვნული მოძრაობა ილიასეული კონცეფციებით საგულდაგულოდ შეფუთა თუ გაამყარა, რათა როგორმე „ინტელექტუალური ბურუსის“ ინტენსივობა არ ეგრძნო ქართველ კაცს და მითი ინტელიგენციის შესახებ ხელშეუხებელი დარჩენილიყო. ამიტომაა ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში ინტელიგენციის არსის შეცნობა უმთავრესი, რადგან გასული საუკუნის მიწურულს ამ ფენომენის ერთგვარ მითოლოგიზირებას ჰქონდა ადგილი და სწორედ ამან განაპირობა თითქმის ყველა წერილში მისი ამ თემატიკით დაინტერესება.

ამ თემაზე მჯელობისას, აქ უთუოდ უნდა გამოვკვეთოთ თავად ავტორის ლიტერატურული პორტრეტიც. საგულისხმოა სწორედ ის, რომ ჯემალ ქარჩხაძე სრულიად განცალკევებული იყო მწერალთა დაჯგუფებებისაგან და ფრიად უჩინრად იღვწოდა. საკუთარ საცალფეხო ბილიკს მარტოოდენ სიტყვებს დაყრდნობილი მიუყვებოდა ხოლმე, რადგან სწამდა, რომ მწერლის უზენაესი ღვაწლის სახელდება მხოლოდ მკითხველისაგან მოდიოდა და არა სამთავრობო რეგალიებიდან: „ჯემალ ქარჩხაძე კი პრინციპულად არ იყო საბჭოთა მწერალი, თან გარიდებული იყო მთელ იმ უმსგავსობას, ზნეობრივად გამაჩანაგებელ იმ ორომტრიალს, რომელსაც ლიტერატურული ცხოვრება ერქვა და რომლის მესვეურნიც რანგებსა და წოდებებს აწესებდნენ, უფრო სწორედ, თვითონ იწესებდნენ“.[20]

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ფრთებქვეშ მოქცეული ქართული კულტურა მეტად ძლიერ წნეხს განიცდიდა. მაგრამ, როგორ არასდროს, შემოქმედი სული მაინც ისწრაფვოდა თავისუფლებისაკენ და მართლაც იქმნებოდა იმგვარი ნაწარმოებები, რომელთაც ქართველი მკითხველი სრულიად სხვაგვარ ზნეობრივ სივრცეში გაჰყავდა, სადაც სულის ხსნის შეგრძნება იყო გამეფებული, რაც ჯემალ ქარჩხაძის მსოფლაღქმიდან მომდინარეობდა: „თხზულებების გამოქვეყნების მიუხედავად, მისი ფასი ბევრმა არ იცოდა. მისი შემოქმედება იმდროინდელ ლიტერატურულ პრესაში (ორიოდე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით) არც მოიხსენიებოდა... დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა ოფიციოზმა ჯემალ ქარჩხაძის ფენომენში ვერავითარი საფრთხე ვერ შენიშნა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მათი გონებრივი შეზღუდულობით აიხსნება... ჯემალ ქარჩხაძე არასოდეს ყოფილა დისიდენტი. მის თხზულებებს საბჭოთა იდეოლოგიისათვის სრულიად არასასურველ პოლიტიკურ ჟღერადობას ის ანიჭებდა, რომ მწერალი ძირითადად ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების შესახებ წერდა“.[21]

მიუხედავად მხატვრულ ზროვნებაში წამოჭრილი თემატიკის მრავალსახეობისა, პუბლიცისტურ ნარატივში უფრო კონკრეტიზაცია ხდება ხოლმე პრობლემის და ამიტომაც არის ის გაცილებით აქცენტირებული. სწორედ ასე იყო, ჯემალ ქარჩხაძის შემთხვევაშიც, რადგან მან კარგად იცოდა, რომ პიროვნების ნებელობა

20 წერედიანი დ., „სათქმელი ბევრია“, 2000, გვ. 8.
21 ჯამბურია კ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 14-15.

ერის თვითმყოფადობაშია საძიებელი და ამიტომაც მის პუბლიცისტურ წერილებში აქვს დათმობილი ერის არსობრივ შეცნობას, რითაც ის ილია ჭავჭავაძის პათოსს გვახსენებს.

„ერი“ ეს არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ცნება... ერი არის იქ, სადაც ჯერ არ არის სახელმწიფო. როდესაც სახელმწიფო იქმნება ერი ნელ-ნელა თანდათანობით იქცევა საზოგადოებად... საზოგადოება უფრო გახსნილი მექანიზმია და მისი საყრდენი ეთიკა და თავისუფლებაა. თავისუფლება ერისათვის კოლექტიური ცნებაა და ცენტრალიზებული წესით რეგულირდება, საზოგადოებაში კი იგი პიროვნების უმთავრესი მონაპოვარია“.[22]

სწორედ ამიტომ, მწერალი, ისე როგორც მოძღვარი, არ უნდა გაემიჯნოს თანადროულ კატაკლიზმებს, რადგან „მწერალთა დიდზე დიდი უმრავლესობა, როგორც წესი, „თანამედროვეობაში“ ასრულებს სიცოცხლეს და სამუდამოდ თავის ეპოქაში რჩება. ხოლო ვინც ეპოქის მიჯნას არღვევს და სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს, განაგრძობს არა იმის გამო, რომ მომავალს ეკუთვნის, არამედ იმის გამო, რომ მომავალსაც ეკუთვნის. ეპოქა არის სამშობლო დროში“.[23]

დროის ფენომენის არაშესატყვისი შეცნობის გარდა ჯემალ ქარჩხაძე ასევე მიიჩნევდა, რომ საზოგადოების „ზნეობრივი კრიზისის“ მეტასტაზები უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ ცნებათა არასწორ აღქმა-გაშინაარსებაშიც იყო საძიებელი, რა ტენდენციები დღესაც შეიმჩნევა. ეგებ იმიტომ ხომ არა, რომ პიროვნება მუდმივ ძიებაშია და თავისუფლების უზენაესობის სახელით თამამ განცხადებებს აკეთებს.

„ნამდვილი აზროვნება და მწერლობა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, არ არის ბუნების ხდომილებების და ადამიანის პრაქტიკული ქმედებების უბრალო ისტორიული აღწერა, არამედ ცოცხალ ადამიანურ ვნებათა გადმოცემა, ანალიზი, რომელიც მოცემული ეპოქის საზოგადოების განმსაზღვრელი ცნობიერების შინაგანი მამოძრავებელია და მისთვის დამახასიათებელია... მწერლობა, ამ თვალსაზრისით, არის საზოგადოების რეალური ყოფნის ერთი ცალკეული ინდივიდის, როგორც მუნყოფნის სუბიექტურად თავისუფალი ნების შემოქმედება, რომელიც წინასწარმოცემული აბსტრაქტული განსაზღვრულობებისგან დამოუკიდებელია და აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მწერლის (ხელოვანის) შემოქმედება თავისუფლებისკენ სვლა“...[24]

სწორედ ამ „გზაზე“ არ უნდა დაივიწყო, რომ თავისუფლება სულაც არ ეწინააღმდეგება რელიგიური ცნობიერების არსს. არადა, კაცობრიობის ისტორიაში არაერთ პიროვნებას მოუწია და კვლავაც მოუწევს „ამ საცალფეხო ბილიკზე“ გავლა... ამიტომაც არის ჯემალ ქარჩხაძის ეს გულწრფელი განდობა დღემდე დილემური და აქტუალური:

„მე არ მითქვამს, თითქოს რელიგია თავისუფლებას ეწინააღმდეგება... მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ღმერთი ჩემთვის არ არის წმინდა რელიგიური

22 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 194.
23 იქვე, გვ. 179.
24 ბერიაშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 27-29.

პრინციპი, იგი რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპია. მე მწამს, რომ გონება და ინტელექტი, იმავე ფესვებზეა აღმოცენებული, რომელზედაც სული და მორალი... უზენაესი პრონციპი არის ღმერთი, რომელიც გაცხადებულია თავისუფლების იდეაში, თავისუფლებისაკენ კი მხოლოდ სიმართლის გზა მიდის".[25]

,,შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ ქარჩხაძე რელიგიისადმი თავის დამოკიდებულებას, როგორც პოზიტიური ფენომენისადმი, სწორედ ასეთ კონტექსტში განიხილავს. მასთანაც რელიგია მნიშვნელადია თავისუფალი საზოგადოებისათვის, იმდენად, რამდენადაც ის მისი არსებობის ზნეობრივი საფუძველია... თუმცა მიუღებელია რელიგიის საშუალებით მანიპულირება საზოგადოებაზე"...[26]

ნიშანდობლივია ისიც, რომ თავად ჯემალ ქაჩხაძემ, თავისი მოკრძალებული ცხოვრებითა თუ ზნეობრივი პასუხისმგებლობით, სწორედ პიროვნული თავისუფლება რელიგიური მრწამსის შეცნობამდე აიყვანა, როგორც პუბლიცისტურ ნარატივში, ასევე მხატვრულ აზროვნებაში. ალბათ ამიტომაცაა, რომ დღემდე მისი პუბლიცისტიკა ერთგვარ ,,ზნეობრივ შეგონებას" წარმოადგენს და შესაბამისად, ჯანსაღი დისკურსის გამოძახილი აქვს თანამედროვე საზოგადოებაში.

,,განსხვავებით პუბლიცისტური წერილების დიდი ნაწილისგან, რომლებიც იმის გამო, რომ ისინი კონკრეტული მოვლენებისადმია მიძღვნილი და ამ მოვლენების მიმართ ინტერესის დაცხრომასთან ერთად ნაკლებად ექცევა მკითხველის თვალთახედვის ცენტრში, ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური ტექსტების უმეტესობა დღესაც მათი შექმნიდან საკმაოდ დროის გასვლის შემდეგაც, რჩება ცხოველი ყურადღების საგნად".[27]

ალბათ იმიტომ, რომ, ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური ნარატივის დიაპაზონი გაცილებით შთამბეჭდავი და სიღრმისეულია. ეს კი – პუბლიცისტურ ტექსტში წარმოჭრილი არა მარტო ფილოსოფიურ-მორალური განსჯით, არამედ იმ მაღალმხატვრული ზნეობრივი აქცენტებითაა შესაძლებელი, რითაც ასე მდიდარია მთელი მისი შემოქმედება.

საერთოდ, ამ ავტორისათვის დამახასიათებელია იმგვარი შინაგანი კულტურა და თვითკმარობა, რომ ყველაზე მძაფრ პრობლემებზეც კი შეუძლია თვითბრალდებით (ჯემალ ქარჩხაძე საქართველოში დატრიალებულ პოლიტიკური კატაკლიზმების პასუხისმგებლობას მყისიერ განიცდიდა, როგორც მწერალი და ამ ქვეყნის მოქალაქე...) საუბარი, ოღონდ მამხილებელი პათოსის გარეშე. ამიტომაცაა, რომ მკითხველი ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე იღებს მისგან ,,ზნეობრივ გაკვეთილებს" – ისტორიული დისურსის ფორმატში.

აქვე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ჯემალ ქაჩხაძემ, უპირველესად პუბლიცისტური ასპექტით, გამოკვეთა ქართველი ერისათვის დამახასიათებელი ყველა ,,ქრონიკული მანკიერებანი" (უკვე ,,ზნეობრივ პათოლოგიად" ტრანსფორმირებული), რომელთაგანაც თავის დაღწევასა თუ გაჯანსაღებას მთელი ერი დღესაც უნდა ცდილობდეს.

25 ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გვ. 196.

26 ბერიაშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 42.

27 ნიკოლეიშვილი ა., ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2018, გვ. 53.

და კიდევ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერის სულიერი გზააბნეულობისა თუ ზნეობრივი დაკნინების ჟამს, სწორედ მწერლის „მართალ სიტყვას“ უნდა მივენდოთ და, რაც მთავარია, მისი უპირობოდ უნდა გვწამდეს. თუმცა ყველაზე სავალალო კი მაინც ისაა, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ბედისწერამაც ვერ ასწავლა ქართველ ერს ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ როცა კაცობრიობის ისტორიულ ავანსცენაზე „მცირე ერის“ როლი გერგება, არ გაქვს ურთიერთქიშპობისა თუ მთვლემარების უფლება. ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტურ ილუსტრაციებს სწორედ „ამგვარი ნეტარებიდან“ გამოყავს ქართველი ერი და სულის სიფხიზლისაკენ მოუწოდებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიაშვილი მ. „ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით“. წიგნში: ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.
2. ელაშვილი ქ. „პუბლიცისტური დისკურსი „ინტელექტუალურ ბურუსში“. XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატრათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი. მასალები, ნაწილი I. თბილისი: თსუ-ს გამომცელობა, 2019.
3. ნიკოლეიშვილი ა. „ჯემალ ქარჩხაძე როგორც პუბლიცისტი“. ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.
4. ქარჩხაძე ჯ. პუბლიცისტიკა. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2005.
5. წერედიანი დ. „სათქმელი ბევრია“. „არილი“, № 16(161). საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, 9 ნოემბერი. 2000.
6. ჯამბურია კ. „ჯემალ ქარჩხაძე კონფორმიზმის წინააღმდეგ“. წიგნში: ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2. ადამიანები, სამყარო ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში, თბილისი: „ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

Ketevan Elashvili

THE ARTISTIC SPECTRUM OF OPINION JOURNALISM

Summary

The “Creative Canon” of Publicism, in the format of Jemal Karchkhadze’s publicistic discourse, represents a “mind’s eye” understanding of our recent history (the 1980s-1990s). It is also worth noting that, during the period of stagnation of the nation, it is thanks to the publicist that the free will of the nation is sometimes expressed or the moral phenomenon of the nation is revealed, which in turn is a kind of continuation of Ilia’s concepts. When a writer takes on the mission of a publicist, he himself must possess the utmost freedom of spirit – expressed in a very impartial way of life. This is exactly what Jemal Karchkhadze was like, for whom the supremacy of freedom was equivalent to a sacrifice for the homeland. Jemal Karchkhadze also believed that the national spirit of the writer has its own cross to bear. But, unfortunately for us, in the 80s and 90s of the last century, most Georgian writers did not have the same pathos to save the nation from future discord.

Not only the writer, but also civil society needs the right moral orientation in times of division. And for this, it is necessary to understand life in its general aspect. Many literary masterpieces have been created about the indifference of the world, but Jemal Karchkhadze gives it much more intensity in the publicistic format. This is quite natural, because the publicistic narrative is distinguished by much sharper and deeper accents. Ethnoculture or ethnopsychology is sometimes more clearly reflected in the publicistic narrative than even in the artistic format of the same writer. Because publicistic writings, with their deliberate accents, carry out a kind of healing of a society blinded by the eye of reason. Unfortunately for us, the “pain of the country” outlined by Jemal Karchkhadze at the end of the last century seems to be in the same phase. As never before, this time there is an attempt to separate the country's past and present, thereby making people avoid moral responsibility, which ultimately results in the chaotic dispersion of opportunities and the decay of national momentum. However, our "moral pain" has reminded us of itself again on a much larger scale... That is why even today, the rhetorical questions raised in Jemal Karchkhadze's "publicistics" still remain unanswered. However, it so happened that after a long distancing, the time has come to wake up, the time for our society to recognize the essence of the supremacy of freedom through Jemal Karchkhadze's publicistics and to dispel the "fog of false pathos" uttered in the name of freedom, once and for all. Finally, Jemal Karchkhadze's publicistic narrative is much more impressive and profound precisely because of its artistic range. This is possible not

only through philosophical and moral judgments raised in the publicistic text, but also through those highly artistic moral accents with which his entire work is so rich. In general, this author is characterized by such an inner culture and self-sufficiency that he can speak about even the most acute problems with self-accusation (Djemal Karchkhadze immediately felt responsible for the political cataclysms unfolding in Georgia, as a writer and a citizen of this country...), but without denunciatory pathos, which is why the reader receives "moral lessons" from him without any irritation – in the format of a historical discourse. It is also noteworthy that Jemal Kachkhadze, primarily from a journalistic aspect, outlined all the "chronic vices" characteristic of the Georgian nation (already transformed into "moral pathology"), from which the path to salvation of the soul was already shown to us by Ilia Chavchavadze – again and again through the all-encompassing charge of journalism. Therefore, we must remember and believe in one thing: in times of spiritual confusion or moral decline of the nation, it is precisely the "true word" of the writer that we must trust.

Ketevan Elashvili

DIE KÜNSTLERISCHE SPANNBREITE DER PUBLIZISTIK

Zusammenfassung

Der „schöpferische Kanon“ des Publizismus im Format des publizistischen Diskurses von Jemal Karchkhadze stellt ein „geistiges“ Verständnis unserer jüngsten Geschichte (1980er-1990er Jahre) dar. Es ist auch erwähnenswert, dass in der Zeit der Stagnation der Nation der freie Wille der Nation manchmal dank des Publizisten zum Ausdruck kommt oder das moralische Phänomen der Nation offenbart wird, was wiederum eine Art Fortsetzung der Konzepte von Ilia darstellt. Wenn ein Schriftsteller die Aufgabe eines Publizisten übernimmt, muss er selbst die größtmögliche geistige Freiheit besitzen, die sich in einer sehr unparteiischen Lebensweise ausdrückt. Genau das war Jemal Karchkhadze, für den die Vorherrschaft der Freiheit gleichbedeutend mit einem Opfer für das Vaterland war. Jemal Karchkhadze glaubte auch, dass der nationale Geist des Schriftstellers sein eigenes Kreuz zu tragen hat. Doch leider hatten die meisten georgischen Schriftsteller in den 80er und 90er Jahren des letzten Jahrhunderts nicht das gleiche Pathos, um die Nation vor künftigem Unfrieden zu bewahren.

Nicht nur der Schriftsteller, sondern auch die Zivilgesellschaft braucht in Zeiten der Spaltung die richtige moralische Orientierung. Und dafür ist es notwendig, das Leben in seinem allgemeinen Aspekt zu verstehen. Über die Gleichgültigkeit der Welt sind schon viele literarische Meisterwerke entstanden, aber Jemal Karchkhadze verleiht ihr im publizistischen Format viel mehr Intensität. Das ist ganz natürlich, denn die publizistische Erzählung zeichnet sich durch viel schärfere und tiefere Akzente aus.

Die Ethnokultur oder Ethnopsychologie spiegelt sich in der publizistischen Erzählung manchmal deutlicher wider als in der künstlerischen Gestaltung desselben Autors. Denn die publizistischen Schriften setzen mit ihren bewussten Akzenten eine Art Heilung der auf dem Auge der Vernunft geblendeten Gesellschaft in Gang. Leider scheint sich der „Schmerz des Landes“, den Jemal Karchkhadze Ende des letzten Jahrhunderts skizzierte, in der gleichen Phase zu befinden. Wie nie zuvor wird auch diesmal versucht, die Vergangenheit und die Gegenwart des Landes voneinander zu trennen und die Menschen dazu zu bringen, sich der moralischen Verantwortung zu entziehen, was letztlich zu einer chaotischen Verteilung der Möglichkeiten und zum Verfall der nationalen Dynamik führt. Unser „moralischer Schmerz“ hat uns jedoch in einem viel größeren Ausmaß wieder an sich selbst erinnert... Deshalb bleiben die rhetorischen Fragen, die Jemal Karchkhadze in seiner „Publizistik“ aufwirft, auch

heute noch unbeantwortet. Nach einer langen Zeit der Distanzierung ist es jedoch an der Zeit aufzuwachen, an der Zeit, dass unsere Gesellschaft durch die Publizistik von Jemal Karchkhadze die Essenz der Vorherrschaft der Freiheit erkennt und den „Nebel des falschen Pathos“, der im Namen der Freiheit verbreitet wird, ein für alle Mal vertreibt. Schließlich ist die publizistische Erzählung von Jemal Karchkhadze gerade wegen ihrer künstlerischen Bandbreite viel beeindruckender und tiefgründiger. Dies ist nicht nur durch die philosophischen und moralischen Urteile möglich, die im publizistischen Text aufgeworfen werden, sondern auch durch die hochkünstlerischen moralischen Akzente, mit denen sein gesamtes Werk so reich ist.

Im Allgemeinen zeichnet sich dieser Autor durch eine solche innere Kultur und Selbstgenügsamkeit aus, dass er selbst über die akutesten Probleme mit Selbstanklage sprechen kann (Jemal Karchkhadze fühlte sich als Schriftsteller und Bürger dieses Landes sofort für die sich in Georgien entfaltenden politischen Katastrophen verantwortlich...), aber ohne denunziatorisches Pathos, weshalb der Leser von ihm ohne jede Irritation „moralische Lektionen“ erhält - im Format eines historischen Diskurses. Bemerkenswert ist auch, dass Jemal Karchkhadze vor allem unter journalistischen Gesichtspunkten alle „chronischen Laster“ des georgischen Volkes (die sich bereits in eine „moralische Pathologie“ verwandelt haben) skizziert hat, aus denen uns bereits Ilia Chavchavadze den Weg zur Rettung der Seele aufgezeigt hat - immer wieder durch die allumfassende Anklage des Journalismus. Deshalb müssen wir uns an eines erinnern und daran glauben: In Zeiten der geistigen Verwirrung oder des moralischen Verfalls des Volkes müssen wir gerade dem „wahren Wort“ des Schriftstellers vertrauen.